

**შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების
ეროვნული ცენტრი“
ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**

და

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

შინაარსი

გვერდი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა 1

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა 2

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 5

სრული შემოსავლების ანგარიშგება 6

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 7

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 8

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 კომპანია და მისი საქმიანობა 9

2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები 9

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები 16

4 ძირითადი საშუალებები 17

5 საგადასახადო აქტივი, წმინდა 17

6 მარაგები 17

7 წინასწარ გაწეული ხარჯები 17

8 დებიტორული დავალიანება 18

9 ფული და ფულის ეკვივალენტები 18

10 კაპიტალი 18

11 ამონაგები 18

12 გაყიდული საქონლის თვითღირებულება 18

13 შემოსავალი მომსახურების გაწევიდან 18

14 საოპერაციო ხარჯები 19

15 სხვა (ხარჯი)/შემოსავალი, წმინდა 19

16 კურსთაშორისი სხვაობით მიღებული მოგება 19

17 ფინანსური რისკის მართვა 19

18 პირობითი ვალდებულებები 21

19 მიმდინარე სასამართლო დავები 21

20 დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები 22

21 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები 22

ანგარიშგების ბოლო გვერდია 22

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“-ს ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

ვახტანგ ბეთლემიძე
გენერალური დირექტორი

შპს „საქართველოს მაღალი
ტექნოლოგიების ეროვნული
ცენტრი“

თარიღი: 02 დეკემბერი, 2021

ირინა ჩაგელიშვილი
ბუღალტერი

შპს „საქართველოს მაღალი
ტექნოლოგიების ეროვნული
ცენტრი“

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“-ს ხელმძღვანელობა.


ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამო არ ხდის ამ დაშვებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.


2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:



ვახტანგ ჩეთელეძე
გენერალური დირექტორი

შპს „საქართველოს მაღალი
ტექნოლოგიების ეროვნული
ცენტრი“

თარიღი: 02 დეკემბერი, 2021



ირინა ჩაგელიშვილი
ბუღალტერი

შპს „საქართველოს მაღალი
ტექნოლოგიების ეროვნული
ცენტრი“

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა**შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“****პირობითი მოსაზრება**

ჩვენ ჩავატარეთ შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“-ს (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს წლისათვის, რომელიც დასრულდა ზემოთ აღნიშნული თარიღით, აგრეთვე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, გარდა "პირობითი მოსაზრების საფუძველი" აბზაცში განხილული საკითხისა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ შევძელით კომპანიის ბალანსზე წარმოდგენილი 4,328,820 ლარის ძირითადი საშუალებების, გარდა მიწისა, ისტორიული ღირებულების დადასტურება, ვერც ალტერნატიული პროცედურით მოვახერხეთ შესაბამისი და საკმარისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, შესაბამისად ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების გატარება ძირითად საშუალებებთან და მათზე დარიცხულ ცვეთასთან დაკავშირებით შესაბამის ფინანსურ ანგარიშგებებში.

ჩვენ ვერ შევძელით დავსწრებით კომპანიის მიერ საანგარიშებო თარიღის მდგომარეობით ჩატარებულ მარაგების ინვენტარიზაციას. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით არსებული მარაგების ნაშთის სისწორეში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია 2,606,244 ლარის ოდენობით. ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ და აღურიცხავ მარაგებთან დაკავშირებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ჩვენ ვერ შევძელით, დოკუმენტების შემოწმების, პროგრამით გადაანგარიშებით ან სხვა ალტერნატიული გზის დახმარებით კომპანიის სრული შემოსავლების ანგარიშგებაში აღრიცხული თვითღირებულების (1,275,986 ლარი) თანხობრივ სისწორეზე შესაფერისი და საკმარისი მტკიცებულებების მოპოვება, საჭიროებდა თუ არა ეს თანხა კორექტირებას შესაბამის ანგარიშგებაში.

კომპანიის ბალანსზე ასახული საგადასახადო აქტივების ღირებულების სისწორეზე ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები, შესაბამისად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ასევე სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირებების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ არსებით მუხლებთან დაკავშირებით, აგრეთვე სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების ელემენტებში.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი აუდიტისათვის.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

სხვა გარემოებები

კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც გამოთქვა პირობითი მოსაზრება ამ ანგარიშგების შესახებ 2020 წლის 20 აგვისტოს. მოსაზრების მოდიფიცირების მიზეზი გახდა ის ფაქტები, რომ ვერ მოხერხდა მარაგების ინვენტარიზაციის ჩატარება საანგარიშგებო თარიღისთვის. ასევე, ვერ მოხდა საწესდები კაპიტალისა და ძირითადი საშუალებების ღირებულებებზე, გარდა მიწისა, რწმუნების მოპოვება. ასევე, ვერ დარწმუნდნენ რეალიზებული საქონლის თვითღირებულების სისწორეში. წარმოდგენილი შესადარისი ინფორმაცია ხსენებული თარიღისთვის კორექტირებულია ჩვენ მიერ მხოლოდ შესაბამისობისთვის (იხ. შენიშვნა 2.20). შესაბამისად, ჩვენ არ გამოვხატავთ მოსაზრებას ამ მონაცემებზე.

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ზელმდგენელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობით ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვეკადება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი ვალდებულებაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი თანდართული მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობაზე და ასევე, მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მენეჯმენტისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიტყუოს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით, და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასლების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა თუკი გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე (გაგრძელება)

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული საადრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს მენეჯმენტის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსს და ახსნა-განმარტებითი შენიშვნებს. ამასთან ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბის, ვადებისა და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

აუდიტორული კომპანიის რეგისტრაციის ნომერი:

SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი:

SARAS-A-865011

თარიღი: 02 დეკემბერი, 2021

თბილისი, საქართველო



შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	31-დეკ-20	31-დეკ-19
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	12,328,820	11,644,290
არამატერიალური აქტივები		15,897	20,923
სულ გრძელვადიანი აქტივები		12,344,717	11,665,213
მიმდინარე აქტივები			
საგადასახადო აქტივი, წმინდა	5	334,908	274,845
მარაგები	6	2,606,244	3,058,433
წინასწარ გაწეული ხარჯები	7	65,962	188,458
დებიტორული დავალიანება	8	1,773,429	789,126
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	2,044,618	707,163
სულ მიმდინარე აქტივები		6,825,161	5,018,025
სულ აქტივები		19,169,878	16,683,238
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	13,855,580	13,811,482
გაუნაწილებელი მოგება		5,300,065	2,860,173
სულ კაპიტალი		19,155,645	16,671,655
მიმდინარე ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება		14,233	11,583
სულ მიმდინარე ვალდებულებები		14,233	11,583
სულ ვალდებულებები		14,233	11,583
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		19,169,878	16,683,238

ვახტანგ ბეთლემიძე
გენერალური დირექტორი

შპს „საქართველოს მაღალი
ტექნოლოგიების ეროვნული
ცენტრი“


თარიღი: 02 დეკემბერი, 2021

ირინა ჩაგელიშვილი
ბუღალტერი


შპს „საქართველოს მაღალი
ტექნოლოგიების ეროვნული
ცენტრი“

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	31-დეკ-20	31-დეკ-19
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	12,328,820	11,644,290
არამატერიალური აქტივები		15,897	20,923
სულ გრძელვადიანი აქტივები		12,344,717	11,665,213
მიმდინარე აქტივები			
საგადასახადო აქტივი, წმინდა	5	334,908	274,845
მარაგები	6	2,606,244	3,058,433
წინასწარ გაწეული ხარჯები	7	65,962	188,458
დებიტორული დავალიანება	8	1,773,429	789,126
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	2,044,618	707,163
სულ მიმდინარე აქტივები		6,825,161	5,018,025
სულ აქტივები		19,169,878	16,683,238
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	13,855,580	13,811,482
გაუნაწილებელი მოგება		5,300,065	2,860,173
სულ კაპიტალი		19,155,645	16,671,655
მიმდინარე ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება		14,233	11,583
სულ მიმდინარე ვალდებულებები		14,233	11,583
სულ ვალდებულებები		14,233	11,583
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		19,169,878	16,683,238


 ვაზგან ტოტკაიძე
 გენერალური დირექტორი
 შპს „საქართველოს მაღალი
 ტექნოლოგიების ეროვნული
 ცენტრი“

თარიღი: 02 დეკემბერი, 2021


 ირინა ჩაგელიშვილი
 ბუღალტერი
 შპს „საქართველოს მაღალი
 ტექნოლოგიების ეროვნული
 ცენტრი“

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“

სრული შემოსავლების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები	11	5,885,135	4,507,385
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	12	(1,275,986)	(913,168)
შემოსავალი მომსახურების გაწვიდან	13	315,476	8,869
მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხარჯი		(3,114)	(7,551)
საერთო მოგება		4,921,511	3,595,535
საოპერაციო ხარჯები	14	(2,537,964)	(2,304,522)
საოპერაციო მოგება		2,383,547	1,291,013
სხვა შემოსავალი, წმინდა	15	-	61,103
სხვა ხარჯი, წმინდა	15	(215,795)	-
კურსთაშორისი სხვაობით მიღებული მოგება	16	272,140	203,367
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული მოგება		-	3,474
მოგება დაბეგვრამდე		2,439,892	1,558,957
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		2,439,892	1,558,957
სხვა სრული შემოსავლები წლის განმავლობაში		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		2,439,892	1,558,957

ვახტანგ ბეთლემიძე
გენერალური დირექტორი

შპს „საქართველოს მაღალი
ტექნოლოგიების ეროვნული
ცენტრი“

თარიღი: 02 დეკემბერი, 2021

ირინა ჩაგელიშვილი
ბუღალტერი

შპს „საქართველოს მაღალი
ტექნოლოგიების ეროვნული
ცენტრი“


შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“

სრული შემოსავლების ანგარიშგება


2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები	11	5,885,135	4,507,385
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	12	(1,275,986)	(913,168)
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	13	315,476	8,869
მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხარჯი		(3,114)	(7,551)
საერთო მოგება		4,921,511	3,595,535
საოპერაციო ხარჯები	14	(2,537,964)	(2,304,522)
საოპერაციო მოგება		2,383,547	1,291,013
სხვა შემოსავალი, წმინდა	15	-	61,103
სხვა ხარჯი, წმინდა	15	(215,795)	-
კურსთაშორისი სხვაობით მიღებული მოგება	16	272,140	203,367
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული მოგება		-	3,474
მოგება დაბეგვრამდე		2,439,892	1,558,957
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		2,439,892	1,558,957
სხვა სრული შემოსავლები წლის განმავლობაში		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		2,439,892	1,558,957


 ვახტანგ ბუღალტერი
 გენერალური დირექტორი
 შპს „საქართველოს მაღალი
 ტექნოლოგიების ეროვნული
 ცენტრი“

თარიღი: 02 დეკემბერი, 2021


 ირინა ჩაგელიშვილი
 ბუღალტერი
 შპს „საქართველოს მაღალი
 ტექნოლოგიების ეროვნული
 ცენტრი“

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2018		13,755,188	1,701,724	15,456,912
შენატანი კაპიტალში	10	56,294	-	56,294
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	1,558,957	1,558,957
გადახდილი დივიდენდი	10	-	(400,508)	(400,508)
31 დეკემბერი 2019		13,811,482	2,860,173	16,671,655
შენატანი კაპიტალში	10	44,098	-	44,098
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	2,439,892	2,439,892
31 დეკემბერი 2020		13,855,580	5,300,065	19,155,645

ვახტანგ ბეთლემიძე
გენერალური დირექტორი

შპს „საქართველოს მაღალი
ტექნოლოგიების ეროვნული
ცენტრი“


თარიღი: 02 დეკემბერი, 2021

ირინა ჩაგელიშვილი
ბუღალტერი


შპს „საქართველოს მაღალი
ტექნოლოგიების ეროვნული
ცენტრი“

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2018		13,755,188	1,701,724	15,456,912
შენატანი კაპიტალში	10	56,294	-	56,294
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	1,558,957	1,558,957
გადახდილი დივიდენდი	10	-	(400,508)	(400,508)
31 დეკემბერი 2019		13,811,482	2,860,173	16,671,655
შენატანი კაპიტალში	10	44,098	-	44,098
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	2,439,892	2,439,892
31 დეკემბერი 2020		13,855,580	5,300,065	19,155,645


 ვახტანგ ბიჩელაშვილი
 გენერალური დირექტორი
 შპს „საქართველოს მაღალი
 ტექნოლოგიების ეროვნული
 ცენტრი“

თარიღი: 02 დეკემბერი, 2021


 ირინა ჩაგელიშვილი
 ბუღალტერი
 შპს „საქართველოს მაღალი
 ტექნოლოგიების ეროვნული
 ცენტრი“

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2020	2019
მოგება დაბეგვრამდე		2,439,892	1,558,957
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია		358,588	141,558
მარაგის ჩამოწერის ხარჯი		-	14,517
მარაგის გაუფასურების ხარჯი		-	7,595
უიმედო ვალების (შემოსავალი)/ხარჯი		(10,375)	7,116
ძირითადი საშუალებების ჩამოწერის ხარჯი		13,573	-
მოგება/(ზარალი) კურსთაშორისი სხვაობიდან		(272,140)	(203,367)
ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული მოგება		-	(3,474)
მარაგის ზედმეტობა		-	(31,559)
საოპერაციო შედეგები კაპიტალში ცვლილებამდე			
შემცირება/(ზრდა) მარაგებში		452,189	(473,833)
(ზრდა)/შემცირება დებიტორულ დავალიანებაში		(1,000,112)	45,900
(ზრდა)/შემცირება საგადასახადო აქტივებში		(60,063)	32,595
შემცირება/(ზრდა) წინასწარ გაწეულ ხარჯებში		122,496	(165,214)
ზრდა/(შემცირება) კრედიტორულ დავალიანებაში		2,643	(963,802)
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ფულადი სახსრები		2,046,691	(33,011)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(1,136,724)	(158,416)
ძირითადი საშუალების გაყიდვა		129,158	9,434
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(1,007,566)	(148,982)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდი	10	-	(400,508)
საფინანსო საქმიანობით წარმოქმნილი ფულადი სახსრები		-	(400,508)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ნეტო ზრდა / (შემცირება)		1,039,125	(582,501)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	9	707,163	1,107,209
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად სახსრებზე		298,330	182,455
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	9	2,044,618	707,163

ვახტანგ ბეთლემიძე
გენერალური დირექტორი

შპს „საქართველოს მაღალი
ტექნოლოგიების ეროვნული
ცენტრი“


თარიღი: 02 დეკემბერი, 2021

ირინა ჩაგელიშვილი
ბუღალტერი


შპს „საქართველოს მაღალი
ტექნოლოგიების ეროვნული
ცენტრი“

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2020	2019
მოგება დაბეგვრამდე		2,439,892	1,558,957
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია		358,588	141,558
მარაგის ჩამოწერის ხარჯი		-	14,517
მარაგის გაუფასურების ხარჯი		-	7,595
უიმედო ვალების (შემოსავალი)/ხარჯი		(10,375)	7,116
ძირითადი საშუალებების ჩამოწერის ხარჯი		13,573	-
მოგება/(ზარალი) კურსთაშორისი სხვაობიდან		(272,140)	(203,367)
ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული მოგება		-	(3,474)
მარაგის ზედმეტობა		-	(31,559)
საოპერაციო შედეგები კაპიტალში ცვლილებამდე			
შემცირება/(ზრდა) მარაგებში		452,189	(473,833)
(ზრდა)/შემცირება დებიტორულ დავალიანებაში		(1,000,112)	45,900
(ზრდა)/შემცირება საგადასახადო აქტივებში		(60,063)	32,595
შემცირება/(ზრდა) წინასწარ გაწეულ ხარჯებში		122,496	(165,214)
ზრდა/(შემცირება) კრედიტორულ დავალიანებაში		2,643	(963,802)
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ფულადი სახსრები		2,046,691	(33,011)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(1,136,724)	(158,416)
ძირითადი საშუალების გაყიდვა		129,158	9,434
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(1,007,566)	(148,982)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდი	10	-	(400,508)
საფინანსო საქმიანობით წარმოქმნილი ფულადი სახსრები		-	(400,508)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ნეტო ზრდა / (შემცირება)		1,039,125	(582,501)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	9	707,163	1,107,209
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად სახსრებზე		298,330	182,455
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	9	2,044,618	707,163


 ვაზგან ბუტკო
 გენერალური დირექტორი

შპს „საქართველოს მაღალი
 ტექნოლოგიების ეროვნული
 ცენტრი“
 თარიღი: 02 დეკემბერი, 2021


 ირინა ჩაგელიშვილი
 ბუღალტერი

შპს „საქართველოს მაღალი
 ტექნოლოგიების ეროვნული
 ცენტრი“

1 კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 1995 წლის 23 მაისს საქართველოს კანონმდებლობის და დებულებების შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია - ქავთარაძის ქუჩა N21, თბილისი, საქართველო.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მმართველი არის შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია“, რომლის საბოლოო მაკონტროლებელ მხარეს წარმოადგენს სახელმწიფო.

კომპანიის ძირითადი საქმიანობის სფეროს წარმოადგენს იზოტოპების წარმოება. დამატებით, კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს ანალიტიკურ მომსახურებას, რომელიც გულისხმობს შუალედურ და მზა პროდუქტში იზოტოპური შემადგენლობის განსაზღვრას მას-სპექტრომეტრული მეთოდით. ცენტრის მიერ წარმოებული პროდუქციის და სერვისების მომხმარებლები ძირითადად მედიცინის, ბირთვული ტექნოლოგიების, მიკროელექტრონიკის და სოფლის მეურნეობის სექტორის წარმომადგენლები არიან.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანიის დირექტორი არის ვახტანგ ბეთლემიძე.

2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

2.1 ანგარიშგების მომზადების საფუძველი

კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASE) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

წინამდებარე ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის პირველ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელშიც მოხდა ფასს 16 „იჯარის“ გამოყენება. ახალი სტანდარტი გავლენას არ ახდენს კომპანიის საწყის ნაშთებზე ვინაიდან ის თვითონ არ არის მოიჯარე, ხოლო მეიჯარისთვის აღნიშნული სტანდარტი არ იწვევს სააღრიცხვო პოლიტიკის მნიშვნელოვან ცვლილებას.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორც ბასს 17-ის მიხედვით და გამოიყენებს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს. ფასს 16, რომელიც ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, მოიჯარეებს და მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა.

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

2.2 ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

კომპანიის წმინდა მოგება 2020 წელს შეადგინა 2,444,920 ლარი (2019: 1,558,957 ლარი). ასევე, ფულადი ნაკადების ზრდამ 2020 წლის განმავლობაში შეადგინა 1,039,125 ლარი (2019: კლება 582,501 ლარი). აქედან გამომდინარე, კომპანიის მენეჯმენტს სჯერა, რომ აღნიშნული მაჩვენებელი საფრთხეს არ წარმოადგენს კომპანიის ოპერირებისთვის.

კოვიდ 19-ის გავლენის შედეგად, მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში სხვადასხვა ინდუსტრია გამოწვევებისა და სირთულეების წინაშე დადგა. კომპანიამ არსებულ ვითარებაში შეაფასა მომავალი გეგმები, შედეგად, კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, არსებობს საკმარისი რწმუნება იმის შესახებ, რომ კომპანია ფუნქციონირებას განაგრძობს მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

2.3 ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისთვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2020 წლის 31 დეკემბრის ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 3.2766 ლარს და ერთი ევროსთვის შეადგენს 4.0233 ლარს (2019 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.8677 ლარი, ერთი ევრო 3.2095 ლარი). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ის ბალანსში წარმოდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

2.4 შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2.5 საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 კალენდარულ წელს: 1 იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით.

2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.6 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივს ერთი კომპანიისთვის და ფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს მეორე კომპანიისთვის.

2.7 ფინანსური აქტივი

პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად. გამოწვევას წარმოადგენს საკაპრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა. თავდაპირველად, კომპანია სამართლიანი ღირებულებით აფასებს ფინანსურ აქტივს, იმ შემთხვევაში თუ ფინანსური აქტივი არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, გარიგების თვითღირებულებით. საკაპრო მოთხოვნები რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, ფასს 15-ის შესაბამისად.

იმისათვის, რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნაჩვენებ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი დაკავშირებულია იმასთან თუ როგორ ახდენს კომპანია ფინანსური აქტივების მართვას ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოდინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად. ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც კომპანია ვალდებულია იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

შემდგომი აღიარება

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები);
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახრებით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით. (სასესხო ინსტრუმენტები);
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახრების გარეშე, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები);
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)

კომპანია აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება;
- და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირ თანხაზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას.

მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. კომპანიის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს საკაპრო მოთხოვნებს.

საკაპრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქციაზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღირიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები)

მოგება ან ზარალი ასეთი ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულებით შეფასებიდან არასდროს ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. დივიდენდები აღირიცხება როგორც სხვა შემოსავალი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც კომპანია ხდება უფლებამოსილი მიიღოს თანხა.

2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.7 ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესიო ინსტრუმენტები) (გაგრძელება)

კაპიტალის ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით, სრული შემოსავლის ანგარიშების გავლით არ ექვემდებარება გაუფასურებას. კომპანია ასეთად აკლასიფიცირებს არაკოტირებულ კაპიტალის ინსტრუმენტებს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საწყისი ანგარიშებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა;
- ან კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება;
- ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული რსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური აქტივის გაუფასურება

კომპანია აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშების გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშება სხვაობით სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც კომპანია ელოდება რომ მიიღებს, დადისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

2.8 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ფულადი ნაკადები ასევე მოიცავს ფულად შემოდინებებს გირაოში არსებული აქტივების რეალიზაციიდან ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზარდის საკრედიტო რისკი, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა.

იმ საკრედიტო რისკზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის აღიარება, მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა).

მოთხოვნებისთვის, გაცემული სესხებისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების ("ECL") გამოსათვლელად. შესაბამისად კომპანია არ ადგენს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, არამედ აღიარებს დანაკარგის რეზერვს სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიას შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორიულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

	<30 დღე	30-60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	> 180 დღე
რეზერვი %	2%	5%	25%	50%	100%

დეტალები კომპანიის ძირითადი ფინანსური აქტივების და საკრედიტო რისკთან დაკავშირებით მოცემულია 17-ე შენიშვნაში. სავაჭრო მოთხოვნების და გაუფასურების რეზერვის შესახებ ინფორმაცია მოცემულია 8-ე შენიშვნაში.

2.9 ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში. ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ: სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.9 ფინანსური ვალდებულებები (გაგრძელება)

შემდგომი შეფასება (გაგრძელება)

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებში აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

2.10 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში, აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

2.11 იჯარა

კომპანია როგორც მეიჯარე

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა ფასს 16-ის გამოყენების შემდეგ არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე განაგრძობს იჯარების ფინანსური ან საოპერაციო იჯარებად კლასიფიცირებას. იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი გულისხმობს საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემას, წინააღმდეგ შემთხვევაში, კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა. საიჯარო შემოსავლებს კომპანია აღიარებს და აღრიცხავს წრფივად ხელშეკრულების ვადის განმავლობაში, დარიცხვის მეთოდის საფუძველზე.

2.12 ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა/ამორტიზაცია ან/და გაუფასურების ღირებულებას. ძირითადი საშუალებების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი გაწვევითანვე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია თვითღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა ახდენს ცვეთის/ამორტიზაციის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და ნარჩენი ღირებულებების გადახედვას, საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირების მიზნით. ხელმძღვანელობა ასევე აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება მათი ჩამოფასება და იგი აღიარდება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.12 ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

ცვეთა

მიწა არ იცვითება. გრძელვადიან აქტივებზე ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

აქტივების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
მიწა	არ იცვითება
მიმდინარე მშენებლობა	არ იცვითება
შენობა-ნაგებობები	10-60 წელი
მანქანა დანადგარები	5-20 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი
საოფისე ავეჯი და მოწყობილობები	3-10 წელი
არამატერიალური აქტივები*	3 წელი

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რომელსაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

2.13 მოგების გადასახადი

გადასახადები წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

2.14 მარაგები

მარაგები აღირიცხება ღირებულებასა და წმინდა სავალდებულო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება გასაყიდ ფასსა და დამთავრებისა და გაყიდვის მოსალოდნელი ხარჯების სხვაობით.

2.15 წინასწარ გაწეული ხარჯები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება 1 წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

2.16 კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტიცია აღიარებულია საწყისი ღირებულებით და კლასიფიცირებულია როგორც საწესდებო კაპიტალი. კომპანიის მფლობელები ახორციელებენ ცვლილებებს კომპანიის წესდებაში (მათ შორის საწესდებო კაპიტალში, საკუთრებაში და ა.შ.). კაპიტალის შევსება ხორციელდება როგორც ფულადი, ასევე არაფულადი სახით (სხვადასხვა აქტივების სახით).

2.17 დივიდენდი

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვეყნება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები გაცხადდება მაშინ, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ, ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.18 შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

შემოსავალი განისაზღვრება კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებულ მისაღები ანაზღაურების მიხედვით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც მოხდება კლიენტისთვის საქონლის მიწოდება ან მომსახურების გაწევა.

ყოველ ხელშეკრულებაზე კომპანია ახორციელებს შემდეგ ნაბიჯებს: ახდენს კონტრაქტის არსებობის იდენტიფიცირებას; განსაზღვრავს შესრულების ვალდებულებას; განსაზღვრავს ტრანზაქციის ფასს; ანაწილებს ტრანზაქციის ფასს თითოეული შესრულების ვალდებულებაზე და აღიარებს შემოსავალს მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა შესრულების ვალდებულება შესრულებულია დაპირებული საქონლის ან მომსახურების მიწოდებით.

ხარჯები, შემოსავლების მსგავსად აღიარდება დარიცხვის მეთოდის შესაბამისად, რომელიც თანხვედრაშია მიღებული მომსახურების მოცულობასთან.

2.19 პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შევებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლებისგან.

2.20 შესადარისი ინფორმაცია

შესადარისი ინფორმაცია ასევე რეკლასიფიცირებულია ფინანსურ ანგარიშგებაში მიმდინარე წელთან შესაბამისობისათვის. ხელმძღვანელობა თვლის, რომ ამჟამინდელი წარდგენა უზრუნველყოფს ინფორმაციას, რომელიც უტყუარია და უფრო შესაბამისი და გამოსადეგი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლისათვის.

გადაანგარიშებისა და ხელახლა წარმოდგენის შედეგად შეტანილი კორექტირებების შეჯამება, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2019 წლის 31 დეკემბრისათვის მოცემულია შემდეგ ცხრილში:

2019 წლის 31 დეკემბერი	წინა პერიოდის	რეკლასიფიკაცია	გადაანგარიშებული
საწესდებო კაპიტალი	13,687,848	123,634	13,811,482
გაუნაწილებელი მოგება	2,983,807	(123,634)	2,860,173

2.21 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

2020 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა რიგი ახალი სტანდარტებისა და შესწორებების, თუმცა მათ გავლენა არ ჰქონიათ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ა) ბიზნესის განმარტება - შესწორებები ფასს 3-ში;
- ბ) არსებითობის განმარტება - შესწორებები ბასს 1-სა და ბასს 8-ში;
- გ) შესწორებები ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში;
- დ) საპროცენტო განაკვეთის შეფასების რეფორმა - შესწორებები ფასს 7, ფასს 9-სა და ბასს 39-ში.

ფასს 3-ში "საწარმოთა გაერთიანება" განხორციელებული შესწორებების შედეგად ცვლილებები შევიდა დანართი ა-ში "ტერმინების განმარტება" ნაწილში, სახელმძღვანელო მითითებებსა და ფასს 3-ის საილუსტრაციო მაგალითებში. შესწორებები ცვლის ბიზნესის განმარტებას. ბიზნესს უნდა ჰქონდეს რესურსები და არსებითი პროცესი, რომელიც ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებს პროდუქციის შექმნაში. ახალი სახელმძღვანელო ითვალისწინებს სტრუქტურულ საფუძვლებს იმის შესაფასებლად, როდის არის წარმოდგენილი რესურსები და არსებითი პროცესი, მათ შორის საწყის ეტაპზე მყოფი სამეურნეო ერთეულისათვის, რომლებიც არ აგენერირებენ პროდუქციას.

ბასს 1-სა "ფინანსური ანგარიშგების წარდგენა" და ბასს 8-ში "სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები" განხორციელებული შესწორებების შედეგად დაზუსტდა არსებითობის განმარტება და თავისებადი გახდა კონცეპტუალურ საფუძვლებში გამოყენებულ განმარტებასთან.

შესწორებები ფასს სტანდარტებში კონცეპტუალური საფუძვლების მითითებასთან დაკავშირებით განსაზღვრავს საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მიზნებსა და სასარგებლო ფინანსური ინფორმაციის ხარისხობრივ მახასიათებლებს.

ფასს 9-სა "ფინანსური ინსტრუმენტები" და ფასს 7-ში "ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები" განხორციელებული შესწორებების შედეგად შეიცვალა ჰეჯირების აღრიცხვის გარკვეული სპეციფიკური მოთხოვნები, რათა შეამსუბუქოს ბანკათაშორისი შეთავაზებული განაკვეთების რეფორმით გამოწვეული გაურკვევლობის პოტენციური გავლენა. გარდა ამისა, ცვლილებების თანახმად, კომპანიებმა უნდა წარადგინონ დამატებითი ინფორმაცია მათი ჰეჯირების ურთიერთობების შესახებ, რომელზეც პირდაპირ გავლენას ახდენს ეს გაურკვევლობები.

სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისად იქნა კორექტირებული და მათი გავლენა გამჟღავნებულია ფინანსურ ანგარიშგებაში თუ შესაბამისი და არსებითია კომპანიისთვის. ამ სტანდარტების გავლენა არ იყო მნიშვნელოვანი და წინა პერიოდები არ დაკორექტირებულა. მოსალოდნელია, რომ ნებისმიერი ამჟამინდელი ან სამომავლო გავლენა მინიმალური იქნება, თუმცა, სადაც ეს კომპანიასთან შესაბამისია, დამატებითი ინფორმაცია მოცემულია შესაბამის ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.22 ახალი ან გადასინჯული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური ან წინსწრებით დანერგილი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ანგარიშგების მიმდინარე პერიოდისათვის ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი ცვლილებები:

- ა) სადაზღვევო ხელშეკრულებები - ფასს 17;
- ბ) ვალდებულებების კლასიფიკაცია, როგორც მიმდინარე და გრძელვადიანი - შესწორებები ბასს 1-ში;
- გ) ძირითადი საშუალებები: შემოსავლები მიზნობრივ გამოყენებაზე - შესწორებები ბასს 16-ში;
- დ) მითითება კონცეპტუალურ საფუძვლებში - შესწორებები ფასს 3-ში;
- ე) წამებებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება - შესწორებები ბასს 37-ში;
- ვ) 2018–2020 წლის ფასს სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება;
- ზ) აქტივების გაყიდვა ან საკუთარ კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის - შესწორებები ფასს 10-სა და ბასს 28-ში;
- თ) საპროცენტო განაკვეთის შეფასების რეფორმა - შესწორებები ფასს 4, ფასს 7, ფასს 9, ფასს 16-სა და ბასს 39-ში;
- ი) ფასს 16-ის შესწორებები - COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობები.

ფასს 17 "დაზღვევის ხელშეკრულებები" ადგენს სადაზღვევო ხელშეკრულებებში დადებული ინფორმაციის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და გამჟღავნების პრინციპებს. ის ასევე მოითხოვს, რომ მსგავსი პრინციპები ვრცელდებოდეს გადაზღვევის ხელშეკრულებებზე და ინვესტიციურ კონტრაქტებზე, რომლებიც მოიცავს დისკრეციული მონაწილეობის დებულებებს. ფასს 17 ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

შესწორებები ბასს 1-ში „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ განმარტავს მოთხოვნებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ვალდებულებების წარდგენასთან დაკავშირებით, როგორც მიმდინარე და გრძელვადიანი. ასევე დაზუსტებულია ვალდებულების ანგარიშსწორების განმარტება. ცვლილებები ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

შესწორებები ბასს 16-ში "ძირითადი საშუალებები" უკრძალავს საწარმოს დაქვითოს ძირითადი საშუალებების ერთეულის ღირებულებიდან ნებისმიერი შემოსავალი, მიღებული წარმოებული ერთეულების გაყიდვიდან, როდესაც საწარმო ამზადებს აქტივს განსაზღვრული გამოყენებისთვის. შემოსავლები ასეთი ერთეულების გაყიდვიდან, მათი წარმოების ხარჯებთან ერთად, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. ეს ცვლილებები ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

შესწორებები ფასს 3-ში "საწარმოთა გაერთიანება" ანახლებს მითითებებს ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებთან დაკავშირებით საწარმოთა გაერთიანების სააღრიცხვო მოთხოვნების შეცვლის გარეშე. ცვლილებები ვრცელდება წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.

ცვლილებები ბასს 37-ში "ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები" განსაზღვრავს იმ ხარჯებს, რომლებსაც საწარმო მოიცავს ხელშეკრულების ზარალის შეფასებისას. ცვლილებები ვრცელდება წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.

ფასს სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება 2018–2020:

- ფასს 1 ამარტივებს შვილობილი კომპანიის მიერ ფასს 1-ს პირველად გამოყენებას კუმულაციურ საკურსო სხვაობებთან მიმართებით, თუ შვილობილი კომპანია ფასს-ს იღებს მოგვიანებით, მშობელ კომპანიასთან შედარებით;
- ფასს 9 განმარტავს საკომისიოებს, რომლებსაც საწარმო მოიცავს შეფასებისას, მნიშვნელოვნად განსხვავდება თუ არა ახალი ან შესწორებული ფინანსური ვალდებულების პირობები საწყისი ფინანსური ვალდებულებისგან;
- ფასს 16-ის მე-13 საილუსტრაციო მაგალითიდან ამოღებულია ილუსტრაცია მეიჯარის მიერ განხორციელებულ გადახდებზე, რომელიც უკავშირდება იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობას;
- ბასს 41-ში ამოღებულ იქნა მოთხოვნა საწარმოების მიმართ, რომელიც გულისხმობდა დაბეგვრასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების გამორიცხვას სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, რის შედეგადაც ბასს 41-ში განსაზღვრული სამართლიანი ღირებულების გაზომვის მოთხოვნები თანხვედრაში იქნება სხვა სააღრიცხვო სტანდარტების მოთხოვნებთან.

ცვლილებები ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

ცვლილებები ფასს 10-ში "კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება" და ბასს 28-ის "ინვესტიციები ასოცირებულ კომპანიებში" განმარტავს ინვესტორისა და მის ასოცირებულ კომპანიებსა და ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვების ან შენატანების აღრიცხვას. თუ არაფულადი აქტივები წარმოადგენენ საქმიანობას, ინვესტორი აღიარებს აქტივების გაყიდვების ან კონტრიბუციისგან მიღებულ შემოსავალს ან ზარალს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ინვესტორი აღიარებს მოგებას ან ზარალს მხოლოდ სხვა ინვესტორის ინტერესების შესაბამისად, ასოცირებულ ან ერთობლივ საწარმოს მიმართ. ცვლილებები ვრცელდება წლიური პერიოდისთვის, რომლებიც იწყება 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ.

2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.22 ახალი ან გადასინჯული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური ან წინსწრებით დანერგული (გაგრძელება)

შესწორებები ფასს 4-ში, ფასს 7-ში, ფასს 9-ში, ფასს 16-სა და ბასს 39-ში - საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმა - ფაზა 2. ამ ცვლილებების შედეგად სხვა საკითხებთან ერთად, საწარმოს:

- არ მოუწევს შეწყვიტოს აღიარება ან შეცვალოს ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულება რეფორმით გათვალისწინებული ცვლილებებისთვის, მაგრამ ევალუა განახლოს ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, ალტერნატიული საბაზისო განაკვეთის ცვლილების ასახვის მიზნით;
- არ მოუწევს ჰეჯირების აღრიცხვის შეწყვეტა მხოლოდ იმიტომ, რომ კომპანია ცვლილებებს ახორციელებს რეფორმის ფარგლებში, თუ ჰეჯირება აკმაყოფილებს სხვა ჰეჯირების აღრიცხვის კრიტერიუმებს; და
- ვალდებულია ექნება გაამჟღავნოს ინფორმაცია რეფორმის შედეგად წარმოშობილი ახალი რისკების შესახებ და როგორ ახდენს მის ალტერნატიულ საბაზისო განაკვეთზე გადასვლის მართვას.

ცვლილებები ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

შესწორებები ფასს 16-ში "იჯარები" იძლევა გამარტივებული მიდგომის გამოყენების საშუალებას მოიჯარეებისთვის საიჯარო ქირის დათმობასთან მიმართებით, რომლებიც წარმოშობა კოვიდ-19-ის პანდემიის პირდაპირი შედეგის სახით და მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დაკმაყოფილებული იქნება განსაზღვრული პირობები, თუკი ცვლილება არ იქნებოდა იჯარის მოდიფიკაცია. ამასთან, შესწორება გამოიყენება წლიური პერიოდისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 ივნისს ან მის შემდგომ.

კომპანიის მენეჯმენტი არ მოელის, რომ ახალი სტანდარტებისა და შენიშვნების შეტანა მომავალში მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

3.1 გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და ცვლილებების ინტერპრეტაცია შეიძლება შესაბამისმა ორგანოებმა ეჭვქვეშ დააყენონ. შემოწმებისას შეიძლება მოხდეს დამატებითი გადასახადების, ჯარიმების ან საურავების დარიცხვა. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო სტატუსი უცვლელი დარჩება.

3.2 ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია რეგულარულად ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების შეფასების გადახედვას. ახალი ფასს 9-ს მიხედვით, გაუფასურების მოდელი მოითხოვს გაუფასურების რეზერვს ყველა რისკზე ფინანსური ინსტრუმენტის წარმოქმნის მომენტიდან მისი თავდაპირველი აღიარების მომენტიდან მისი საკრედიტო რისკის გაუარესების მიხედვით. თუ არ მომხდარა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, ფასს 9 მოითხოვს რეზერვს მომდევნო 12 თვის მანძილზე მოსალოდნელი დანაკარგებზე დაყრდნობით. თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან/და თუ ფინანსური ინსტრუმენტი არის „გაუფასურებული“, სტანდარტი მოითხოვს რეზერვის შექმნას მისი სასიცოცხლო ვადის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების მიხედვით.

იმის შეფასება, განიცადა თუ არა ფინანსურმა ინსტრუმენტმა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა განსხვავდება პროდუქტის და რისკის სეგმენტის მიხედვით. კომპანია აღნიშნული საკრედიტო რისკის განსასაზღვრად იყენებს საკუთარ მსჯელობას. დეტალური ინფორმაცია ჯგუფის გაუფასურების რეზერვებზე მოცემულია შენიშვნა 9-ში.

3.3 ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების საექსპლუატაციო ვადები

კომპანიამ იმსჯელა ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების საექსპლუატაციო ვადების დადგენაზე, იმ ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული დაძველება, აქტივების მოსალოდნელი გამოყენება აქტივების მოსალოდნელ ფიზიკური მწარმოებელობის მოცულობასთან და მოსალოდნელ ფიზიკურ ამორტიზაციასთან კავშირში, დამოკიდებულია საწარმოო ფაქტორებზე. თუმცა მენეჯმენტმა განახორციელა თავისი საუკეთესო შეფასებები აქტივებში განთავსებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სტრუქტურის შესაქმნელად, იგი შესაძლოა არსებითად განსხვავდებოდეს ფაქტობრივი შედეგებიდან, რამაც შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშში მოყვანილ ციფრებზე.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები (გაგრძელება)**3.4 მარაგებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი დაშვებები**

მარაგები მოცემულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ფასის შორის უმცირესით და კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს იყენებს მსჯელობას და დაშვებებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ფასის განსაზღვრად.

მარაგების ხანდაზმულობის ვადის გამო, კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას ვადაგასული და „ნელა მოძრავ“ მარაგებზე და შემდეგ ჩამოწერს მარაგების ღირებულებას წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე. წმინდა სარეალიზაციო ღირებულების განსაზღვრა ძირითადად დამოკიდებულია კონკრეტული დროის პერიოდში მოსალოდნელ მომავალ მოთხოვნაზე.

4 ძირითადი საშუალებები

	ძირითადი და შენობა- ნაგებობები	მანქანა - დანადგარები	საოფისე აღჭურვილობა, და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
თვითღირებულება					
2018 წლის 31 დეკემბერი	10,829,898	2,524,259	167,058	37,500	13,558,715
შეძენა	228,385	113,639	44,777	56,294	443,095
გასვლა	-	(2,877)	-	(35,000)	(37,877)
2019 წლის 31 დეკემბერი	11,058,283	2,635,021	211,835	58,794	13,963,933
შეძენა	926,385	16,647	141,684	96,107	1,180,823
გასვლა	(140,004)	(20,658)	(7,111)	-	(167,773)
2020 წლის 31 დეკემბერი	11,844,664	2,631,010	346,408	154,901	14,976,983
ცვეთა და გაუფასურება					
2018 წლის 31 დეკემბერი	785,580	1,170,820	144,793	33,760	2,134,953
წლის დარიცხვა	144,921	57,922	11,219	2,545	216,607
გაყიდული ქონების ცვეთა	-	(120)	-	(31,797)	(31,917)
2019 წლის 31 დეკემბერი	930,501	1,228,622	156,012	4,508	2,319,643
წლის დარიცხვა	193,937	95,666	54,065	9,893	353,561
გაყიდული ქონების ცვეთა	-	(19,990)	(5,051)	-	(25,041)
2020 წლის 31 დეკემბერი	1,124,438	1,304,298	205,026	14,401	2,648,163
წმინდა საბალანსო ღირებულება					
2018 წლის 31 დეკემბერი	10,044,318	1,353,439	22,265	3,740	11,423,762
2019 წლის 31 დეკემბერი	10,127,782	1,406,399	55,823	54,286	11,644,290
2020 წლის 31 დეკემბერი	10,720,226	1,326,712	141,382	140,500	12,328,820

მანქანა დანადგარები მოიცავს 1,008,916 ლარის ღირებულების ექსპერიმენტულ დანადგარს, რომელიც გამოიყენება ნახშირბად-13 იზოტოპით გამდიდრებული CO-ს წარმოებისათვის. აღნიშნული დანადგარი სარემონტო სამუშაოების გამო არ არის ექსპლუატაციაში და არ ერიცხება ცვეთა.

5 საგადასახადო აქტივი, წმინდა	31-დეკ-20	31-დეკ-19
საგადასახადო აქტივი	472,657	317,338
საგადასახადო ვალდებულება	(137,749)	(42,493)
სულ საგადასახადო აქტივი, წმინდა	334,908	274,845
6 მარაგები	31-დეკ-20	31-დეკ-19
ნედლეული და მასალები	647,823	744,763
მზა პროდუქცია	350,687	909,022
სხვა მარაგები	1,607,734	1,412,243
გაუფასურების რეზერვი	-	(7,595)
სულ მარაგები	2,606,244	3,058,433

7 წინასწარ გაწეული ხარჯები

2020 წლის 31 დეკემბრისთვის გადახდილი ავანსები შეადგენს - 65,962 ლარს, რომელიც ძირითადად შედგება წინასწარ გადახდილი ხელფასებისა და საპენსიო თანხებისგან. 2019 წლის 31 დეკემბრისთვის კი შეადგენს - 188,458 ლარს, რომელიც ძირითადად შედგება ჩინეთში რეგისტრირებულ მომწოდებელთან 2019 წლის ოქტომბერსა და დეკემბერში გადარიცხული 185,949 ლარისგან (63,470 აშშ დოლარი). 2019 წელს 23 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე 366,925 ლარის (123,299 დოლარი) ღირებულების საქონლის შესყიდვის თაობაზე. ხელშეკრულების პირობების თანახმად, კომპანიას საქონელი უნდა მიეღო ავანსის ჩარიცხვიდან არაუგვიანეს 3 თვეში.

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“
 ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

8 დებიტორული დავალიანება	31-დეკ-20	31-დეკ-19
მოთხოვნები რეალიზაციიდან	1,732,154	775,137
მოთხოვნები მომსახურებიდან	54,441	37,530
გაუფასურების რეზერვი	9.1 (13,166)	(23,541)
სულ დებიტორული დავალიანება	1,773,429	789,126

8.1 გაუფასურების ანარიცხების მოძრაობა	2020	2019
გაუფასურების ანარიცხები 1 იანვრისთვის	(23,541)	(16,425)
წლის დარიცხვა	-	(8,612)
რეზერვის აღდგენა წლის განმავლობაში	10,375	1,496
გაუფასურების ანარიცხები 31 დეკემბრისთვის	(13,166)	(23,541)

9 ფული და ფულის ეკვივალენტები	31-დეკ-20	31-დეკ-19
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	2,026,831	700,983
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	17,728	6,121
ნაღდი ფული საღაროში	59	59
სულ ფული და ფული ეკვივალენტები	2,044,618	707,163

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია საიმედო ბანკებში, სადაც რაიმე არსებითი საკრედიტო რისკი ფულად სახსრებთან დაკავშირებით არ წარმოიშობა. კომპანიის ფულადი სახსრები არის იმ ბანკებში, რომლებიც Fitch-ის მიერ შეფასებულია, როგორც B-ის მქონე (მოკლევადიანი რეიტინგი), BB-ის მქონე (გრძელვადიანი რეიტინგი).

10 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 13,855,580 ლარს (2019 წლის 31 დეკემბრისთვის 13,811,481 ლარი). 2020 წლის განმავლობაში მშობელი კომპანიის მიერ განხორციელდა 44,099 ლარის ძირითადი საშუალებების, ხოლო 2019 წლის განმავლობაში - 56,294 ლარის ღირებულების სატრანსპორტო საშუალებების შემოტანა საწესდებო კაპიტალში.

2020 და 2019 წლის განმავლობაში კომპანიას დივიდენდები არ გამოუცხადებია, თუმცა, 2019 წელს გასცა 2011-2014 წლების მოგებიდან გადასახდელი დივიდენდი 400,508 ლარის ოდენობით.

გაუნაწილებელი მოგება წარმოადგენს კომპანიის საკუთრებაში დარჩენილი წმინდა მოგების ნაწილს, რომელიც გაუნაწილებელია.

11 ამონაგები	2020	2019
ამონაგები ბორის კარბიდის (92 %) რეალიზაციიდან	2,879,975	1,864,309
ამონაგები ბორის კარბიდის (60 %) რეალიზაციიდან	1,906,393	2,174,579
ამონაგები ამორფული ბორის რეალიზაციიდან	804,116	8,363
ამონაგები ბორის კარბიდის (80 %) რეალიზაციიდან	288,523	451,908
ამონაგები ბორის კარბიდის (96 %) რეალიზაციიდან	6,128	8,226
სულ ამონაგები	5,885,135	4,507,385

12 გაყიდული საქონლის თვითღირებულება	2020	2019
ამონაგები ბორის კარბიდის (92 %) რეალიზაციიდან	683,001	551,825
ამონაგები ბორის კარბიდის (60 %) რეალიზაციიდან	311,278	306,523
ამონაგები ამორფული ბორის რეალიზაციიდან	219,455	732
ამონაგები ბორის კარბიდის (80 %) რეალიზაციიდან	58,147	52,900
ამონაგები ბორის კარბიდის (96 %) რეალიზაციიდან	4,105	1,188
სულ გაყიდული საქონლის თვითღირებულება	1,275,986	913,168

13 შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	2020	2019
ანალიტიკური მომსახურება	315,476	8,869
სულ შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	315,476	8,869

14 საოპერაციო ხარჯები	2020	2019
ხელფასის ხარჯი	1,868,362	1,716,942
ცვეთა და ამორტიზაცია	296,246	180,726
სხვა საგადასახადო ხარჯი	80,156	53,539
მიმდინარე საქსპლუტაციო ხარჯი	70,276	49,392
კომუნალური ხარჯი	66,042	58,203
დაცვის ხარჯი	55,587	67,797
საწვავის ხარჯი	15,093	9,470
მარაგების ჩამოწერის ხარჯი	12,537	14,517
წარმომადგენლობითი ხარჯები	11,703	14,142
საკონსულტაციო ხარჯი	6,889	16,475
მივლინების ხარჯი	6,073	45,992
სხვა საოპერაციო ხარჯი	49,000	77,327
სულ საოპერაციო ხარჯი	2,537,964	2,304,522

15 სხვა (ხარჯი)/შემოსავალი, წმინდა	2020	2019
სხვა შემოსავალი	54,711	275,188
სხვა ხარჯი	(270,506)	(214,085)
სულ სხვა (ხარჯი)/შემოსავალი, წმინდა	(215,795)	61,103

კომპანიის სხვა შემოსავლის ძირითადი ნაწილი უჭირავს დაცვით უზრუნველყოფის მომსახურების განაწილებიდან მიღებულ შემოსავალს, რომელიც 2020 წლისთვის შეადგენს 20,037 ლარს, ხოლო 2019 წლისთვის - 49,491 ლარს. კომპანია ამ ტიპის შემოსავალს იღებს იმ სხვა კომპანიებიდან, რომლებიც განლაგებულნი არიან იმავე ლოკაციაზე და რომელთა ნაცვლადაც კომპანია იხდის დაცვის უზრუნველყოფის ჯამურ ხარჯებს, რის საფუძველზე მოგვიანებით იღებს პროპორციულ ანაზღაურებას თითოეული კომპანიისაგან ინდივიდუალურად. მარაგის ზედმეტობამ 2020 წლისთვის შეადგინა 13,374 ლარი, ხოლო 2019 წლისთვის - 31,559 ლარი. 2019 წელს ავტომატური სისტემით მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი გაუტოლდა 35,593 ლარს. კომპანიის სხვა ხარჯის ძირითადი ნაწილი უჭირავს დაცვით უზრუნველყოფის მომსახურებისა და კომუნალური გადასახადების განაწილების შედეგად გაწეულ ხარჯებს, რომელიც 2020 წლისთვის შეადგენს 155,431 ლარს, ხოლო 2019 წლისთვის - 111,193 ლარს. ამავედროულად, მასპექტრომეტრის ანალიზების ხარჯი 2020 წელს შეადგენს - 80,156 ლარს. 2019 წელს კი - გამოუყენებელი მიღებული ავანსის დაბრუნებით გამოწვეულმა საკურსო სხვაობამ შეადგინა 46,469 ლარი.

16 კურსთაშორისი სხვაობით მიღებული მოგება	2020	2019
საკურსო მოგება (რეალიზებული)	465,565	285,465
საკურსო მოგება (არარეალიზებული)	20,374	84,821
საკურსო ზარალი (რეალიზებული)	(167,241)	(103,010)
საკურსო ზარალი (არარეალიზებული)	(46,558)	(63,909)
სულ კურსთაშორისი სხვაობით მიღებული მოგება	272,140	203,367

17 ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მართვის ფუნქციები ხორციელდება ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს) და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმავე გათვლით, რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებულ იქნას საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ან მყიდველთან დადებული ხელშეკრულების ერთი მხარე ვერ შეასრულებს ვალდებულებას და გამოიწვევს ფინანსური ზარალის დადგომას მეორე მხარისთვის.

	31-დეკ-20	31-დეკ-19
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,044,618	707,163
დებიტორული დავალიანება	1,773,429	789,126
სულ საკრედიტო რისკთან დაკავშირებული აქტივები	3,818,047	1,496,289

საკრედიტო რისკი დაკავშირებულია ზემოთ მოცემული ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან.

17 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არასამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივებთან და ვალდებულებებთან მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიკური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება. მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან..

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი - კომპანიაზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე სავალუტო გაცვლითი კურსის დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები. კომპანიის აქტივები და ვალდებულებები დენომინირებულია რამდენიმე უცხოურ ვალუტაში. თუ აქტივები და ვალდებულებები საერთო ვალუტაში არ ემთხვევა ერთმანეთს, კომპანიას აქვს ღია სავალუტო პოზიცია და ექვემდებარება კურსის არამომგებიან ცვლილების რისკს. უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი, რომ სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო. კომპანიის საფრთხე რისკის მიმართ უპირველესად უკავშირდება მის ფუნქციონირებას (წინასწარი გადახდები უცხოურ ვალუტაში) და ფინანსირების საქმიანობებს (სესხები და კრედიტები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში).

კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა ზორციელდება ლარში. სავალუტო რისკის საფრთხე მომდინარეობს კომპანიის ნაღდი ფულის და საბანკო ბალანსებიდან, რომლებიც დენომინირებულია სხვადასხვა ვალუტებში. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და პასივები, რომლებიც კომპანიას სავალუტო რისკის წინაშე აყენებენ, ქვემოთ არის მოცემული. მოცემული თანხები არის თანხები, რომლებიც შეტყობინებულია მთავარი მენეჯმენტისათვის და კონვერტირებულია ლარში საანგარიშო პერიოდის კურსით. გარდა ამისა ქვემოთ მოცემულ ცხრილში დეტალურად არის აღწერილი კომპანიის მგრძნობელობა 30%-იან ზრდაზე და შემცირებაზე ლარში თითოეულ ვალუტასთან მიმართებით. 30% წარმოადგენს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილების მენეჯმენტისეულ შეფასებას. ანალიზი „მგრძნობელობაზე“ მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ნარჩენ ფულად საშუალებებს და არეგულირებს მათ კონვერტირებას პერიოდის დასასრულისათვის უცხოური ვალუტის კურსის 30%-იანი ცვლილებით. დადებითი სიდიდე მიუთითებს მოგება-ზარალის ზრდას, როდესაც ლარი მყარდება შესაბამისი ვალუტის მიმართ. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და პასივები, რომლებიც კომპანიას სავალუტო რისკის წინაშე აყენებენ 2020 და 2019 წლების მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31 დეკემბერი 2020

	ლარი	აშშ დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები			
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	17,787	2,026,831	2,044,618
დებიტორული დავალიანება	47,951	1,725,478	1,773,429
სულ ფინანსური აქტივები	65,738	3,752,309	3,818,047
ფინანსური ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	14,233	-	14,233
სულ ფინანსური ვალდებულებები	14,233	-	14,233
წმინდა სავალუტო პოზიცია	51,505	3,752,309	3,803,814
გავლენა მოგება-ზარალზე			
30%-იანი ზრდა	15,452	1,125,693	1,141,144
30%-იანი შემცირება	(15,452)	(1,125,693)	(1,141,144)

31 დეკემბერი 2019

	ლარი	აშშ დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები			
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	6,180	700,983	707,163
დებიტორული დავალიანება	20,526	768,600	789,126
სულ ფინანსური აქტივები	26,706	1,469,583	1,496,289
ფინანსური ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	11,583	-	11,583
სულ ფინანსური ვალდებულებები	11,583	-	11,583
წმინდა სავალუტო პოზიცია	15,123	1,469,583	1,484,706
გავლენა მოგება-ზარალზე			
30%-იანი ზრდა	4,537	440,875	445,412
30%-იანი შემცირება	(4,537)	(440,875)	(445,412)

17 ფინანსური რისკის მართვა (გავრცელება)**საპროცენტო განაკვეთის რისკი**

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი, როდესაც სამართლიანი ღირებულება ან ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარ საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო. კომპანიას არ ემუქრება მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის რისკი, რამდენადაც კომპანიის არ აქვს სესხები და ნასესხები თანხები ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2020 და 2019 წლების მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენს საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში არსებული ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

31 დეკემბერი 2020

	1 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები		
დებიტორული დავალიანება	1,773,429	1,773,429
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	2,044,618	2,044,618
სულ ფინანსური აქტივები	3,818,047	3,818,047
ფინანსური ვალდებულებები		
კრედიტორული დავალიანება	14,233	14,233
სულ ფინანსური ვალდებულებები	14,233	14,233
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	3,803,814	3,803,814

31 დეკემბერი 2019

	1 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები		
დებიტორული დავალიანება	789,126	789,126
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	707,163	707,163
სულ ფინანსური აქტივები	1,496,289	1,496,289
ფინანსური ვალდებულებები		-
კრედიტორული დავალიანება	11,583	11,583
სულ ფინანსური ვალდებულებები	11,583	11,583
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	1,484,706	1,484,706

18 პირობითი ვალდებულებები**საგადასახადო კანონმდებლობა**

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ კომპანიას დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია სამი წელი.

საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, იგი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას ადეკვატურად უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

19 მიმდინარე სასამართლო დავები

საანგარიშგებო პერიოდისთვის კომპანია ("მოსარჩელე") ჩაბმული იყო შპს "სპექტრა გეზის ჯორჯიასთან" ("მოპასუხე") სასამართლო დავაში. კერძოდ, მოსარჩელე, მოპასუხისგან მოითხოვს ნაკისრი ვალდებულების შესრულებას და 2018 წელს წარმოებული პროდუქციის მიყიდვას. სარჩელი, 2019 წელს, არ დააკმაყოფილა თბილისის სამოქალაქო სასამართლომ, რის შემდეგაც აღნიშნული საქმე წარედგინა სააპელაციო სასამართლოს საქმეთა პალატას და მიმდინარე პერიოდისთვის არის აქტიური.

19 მიმდინარე სასამართლო დავები (გაგრძელება)

კომპანიას აქვს ორი შრომითსამართლებრივი მიმდინარე დავა, სადაც მოსარჩელები, გათავისუფლებული თანამშრომლები, მოითხოვენ გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობას, სამსახურში აღდგენასა და განაცდურის ანაზღაურებას.

ასევე, კომპანიას აქვს ერთი დასრულებული შრომითსამართლებრივი დავა, რომელიც გათავისუფლების ბრძანების ბათილობის, სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში დასრულდა შპს "საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრის" სასარგებლოდ. ხოლო, მოსარჩელეს დაუკმაყოფილდა მხოლოდ გამოუყენებელი შვებულების თანხის - 625 ლარის დაკისრების ნაწილი.

20 დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

ა) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.

ბ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

გ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი;

დ) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

ე) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს;

ვ) დასაქმების შემდგომი შედგატების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

კომპანიის 100%-ნი წილის მფლობელია შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია“.

წინასწარ გადახდილი ხელფასები	ურთიერთობის სახე	31-დეკ-20	31-დეკ-19
ვახტანგ ბეთლემიძე	უმაღლესი ხელმძღვანელობა	1,644	-
წინასწარ გადახდილი ხელფასები		1,644	-

ხელფასის ხაჯი	ურთიერთობის სახე	2020	2019
ვახტანგ ბეთლემიძე	უმაღლესი ხელმძღვანელობა	77,271	129,150
სულ ხელფასის ხარჯი		77,271	129,150

21 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომზადარი მოვლენები

მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მისი ხელმოწერის თარიღამდე უკავშირდება ეკონომიკურ სირთულეებს, რომელიც შესაძლებელია წარმოიქმნას კორონავირუსის პანდემიის (COVID-19) გავრცელებასთან დაკავშირებით. თუმცა, კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით (COVID-19)-თან დაკავშირებულ რისკებს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენის მოხდენა არ შეუძლია კომპანიის უნარზე, საქმიანობა გააგრძელოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ამასთანავე, რისკების დაბალ დონეზე შეფასების დამატებით არგუმენტს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ (COVID-19)-ით გამოწვეულ ეკონომიკურ სირთულეებს კომპანია წარმატებით გაუმკლავდა 2020 წლის განმავლობაში.

ბალანსის თარიღის შემდგომ, შპს "აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია" შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“-ს კაპიტალში შეიტანა 2,075,624 ლარის ღირებულების, ქალაქ რუსთავში მდებარე, უძრავი ქონება.

ხელმძღვანელობის შეფასებით, ზემოთ ჩამოთვლილი ნეგატიური ფაქტორი არ შეუშლის ხელს კომპანიას საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, როგორც ეს აღნიშნულია მე-2 განმარტებით შენიშვნაში.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების
ეროვნული ცენტრი“

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის წერილი

1. კომპანიის შესახებ	3
2. აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	3
3. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის	3
4. კომპანიის განვითარების გეგმები	4
5. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა	4
6. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ	4
7. კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობისა და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ	4
8. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია	5
9. ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით, კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად	5

1. კომპანიის შესახებ

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 1995 წლის 23 მაისს საქართველოს კანონმდებლობის და დებულებების შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია - ქავთარაძის ქუჩა N21, თბილისი, საქართველო.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მმართველი არის შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია“, რომლის საბოლოო მაკონტროლებელ მხარეს წარმოადგენს სახელმწიფო.

კომპანიის ძირითადი საქმიანობის სფეროს წარმოადგენს იზოტოპების წარმოება. დამატებით, კომპანია ახორციელებს ანალიტიკურ მომსახურებას, რომელიც გულისხმობს შუალედურ და მზა პროდუქტში იზოტოპური შემადგენლობის განსაზღვრას მას-სპექტრომეტრული მეთოდით. ცენტრის მიერ წარმოებული პროდუქციის და სერვისების მომხმარებლები ძირითადად მედიცინის, ბირთვული ტექნოლოგიების, მიკროელექტრონიკის და სოფლის მეურნეობის სეგმენტის წარმომადგენლები არიან.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანიის დირექტორი არის ვახტანგ ბეთლემიძე.

2. აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები 2020 და 2019 წლებისთვის წარმოდგენილ ქვემოთ ცხრილში:

ფინანსური კოეფიციენტები	2020	2019
წმინდა მოგება / შემოსავალი * 100 (Gross Profit Margin)	79%	80%
წმინდა მოგება (ზარალი) / სულ აქტივები (ROA)	13%	9%
მიმდინარე აქტივები / მიმდინარე ვალდებულებები (Current Ratio)	480	433
ფული და ფულის ეკვივალენტები / მიმდინარე ვალდებულებები (Cash Ratio)	144	61

3. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელია აუდიტორის მე-3 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მმართველობის ანგარიშგებასთან მიმართებაში, კომპანიის ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც შესაბამისია მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან და თანხვედრილია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ და 2021 წლის 22 ნოემბრის დამტკიცებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

4. კომპანიის განვითარების გეგმები

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“ არის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. მისი იურიდიული მისამართია თბილისი, საქართველო ქავთარაძის 46.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ქიმიური წარმოება.

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, კომპანია დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებსაც გააჩნიათ განვითარებადი ბაზრის მახასიათებლები. იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, მაგრამ ექვემდებარებიან სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და ხშირ ცვლილებებს, რომლებიც, სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, დამატებით გამოწვევებს უქმნიან საქართველოში მოქმედ ურიდიულ პირებს.

კომპანია განთავსებულია 35,405.64 კვ.მ მიწის ფართობზე. ვაწარმოებთ ამორფულ ბორს და ბორის კარბიდს გამდიდრების მიხედვით და ასევე ვეწევიტ ანალიტიკურ მომსახურებას სხვა კომპანიებთან. 2020 წელს დავიწყეთ ახალი პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს ახალი პროდუქციის წარმოებას.

5. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა

კომპანიის საქმიანობა, განსაკუთრებით ბოლო წლებში, დიდი კონკურენციის პირობებში მიმდინარეობს და შესაბამისად, კომპანია განვითარების მუდმივ პროცესშია. დღევანდელი მდგომარეობით, კომპანიას გააჩნია საკუთარი ნიშა და კონკრეტულ სეგმენტზეა ორიენტირებული. სამომავლოდ იგეგმება ამ კონკრეტულ სეგმენტზე ოპერირების კიდევ უფრო მეტად გამყარება და გაფართოება.

კომპანია გეგმავს ახალი დანადგარის შექმნას და საკუთარი პროდუქციის წარმოებას.

6. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიას არ გააჩნია ფილიალები.

7. კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობისა და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანიაზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკიარის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ ფინანსური ვალდებულებების არ შესრულების შემთხვევაში.

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია არ დგას მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის წინაშე.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდურობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს კურსთაშორისი განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რომელმაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვადა კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო. კომპანიის განფენილობა საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილების რისკის მიმართ, ძირითადად, უკავშირდება აშშ დოლარში დენომინირებულ ფინანსურ ვალდებულებებს.

კომპანიას არ აქვს აქტივებისა და ვალდებულებების დიდი მოცულობის ნაშთები უცხოურ ვალუტაში. შესაბამისად, არ დგას სავალუტო რისკის წინაშე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით). ხელმძღვანელობას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა, განსაზღვროს კომპანიის რაოდენობის განფენილობა უნდა იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთით.

8. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია

კომპანია არ ვაჭრობს საკუთარი აქციებით.

9. ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით, კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე.

კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად,

ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით, კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად (გაგრძელება)

ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად.

დოკუმენტში ასახულია ყველა ის ძირითადი მომენტი, რომელიც საშუალებას მისცემს მის მკითხველს მაქსიმალური ობიექტურობით განსაზღვროს კომპანიის საქმიანობა, როგორც ფინანსური, ასევე მენეჯმენტის კუთხით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მმართველობის ანგარიშგების სახელმძღვანელოს მოთხოვნის თანახმად, დოკუმენტი შეძლებისდაგვარად ლაკონურად.

ვახტანგ ბეთლემიძე
გენერალური დირექტორი


ირინა ჩაგელიშვილი
ბუღალტერი

თარიღი: 02 დეკემბერი, 2021


ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით, კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად (გაგრძელება)

ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად.

დოკუმენტში ასახულია ყველა ის ძირითადი მომენტი, რომელიც საშუალებას მისცემს მის მკითხველს მაქსიმალური ობიექტურობით განსაზღვროს კომპანიის საქმიანობა, როგორც ფინანსური, ასევე მენეჯმენტის კუთხით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მმართველობის ანგარიშგების სახელმძღვანელოს მოთხოვნის თანახმად, დოკუმენტი შეძლებისდაგვარად ლაკონურად.



ვახტანგ ბეთელემიძე
გენერალური დირექტორი



ირინა ჩაგელიშვილი
ბუღალტერი

თარიღი: 02 დეკემბერი, 2021